

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „სამართლიანობა“-ს სხდომის

ოქმი N 1

ქ.თელავი

2016 წლის „14“ მარტი

თავმჯდომარეობდა : თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობა“-ს თავმჯდომარე მერაბ თუშიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: მერაბ ხიზანიშვილი, გელა აზიკური.

დღის წესრიგი

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში 2016 წლის სოფლის  
მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხების სოფლების მიხედვით  
გადანაწილება.

მომხს.მ.თუშიშვილი

მოისმინეს: 1. .თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში 2016 წლის  
სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხების სოფლების  
მიხედვით გადანაწილება.

მომხს.მ.თუშიშვილი

მერაბ თუშიშვილმა წარადგინა გამგეობის გადმოგზავნილი 2016 წლის სოფლის  
მხარდაჭერის პროექტი.

სიტყვით გამოვიდა მ.ხიზანიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ  
კურდღლელაურში გათვალისწინებული ამბულატორიის ოთახების რეაბილიტაციის  
უფლება მუნიციპალიტეტს არ აქვს. რადგან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7  
თებერვლის N23 დადგენილებაში ნათლად ჩანს, თუ რიომელი ობიექტები შეიძლება  
დაფინანსდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით. ამბულატორია შედის ჯანდაცვის  
სისტემაში, აქედან გამომდინარე არანაირად არ შეიძლება სოფლის მხარდაჭერის  
პროგრამით დაფინანსდეს. ფრაქციის წევრები დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას. მათ  
დადებითად შეაფასეს სოფელ ფშაველში და წინანდალში ბაგა-ბაღების მშენებლობა და  
იმედი გამოთქვეს ეს ტენდენცია სამომავლოდაც გაგრძელდება.

მ.თუშიშვილმა განაცხადა, რომ იმ დროს, როდესაც სოფელი ვარდისუბანი განიცდის  
წყლის ნაკლებობას და რამდენიმე სოფლის ბაგა-ბაღში შეშის ღუმელებით

თბებიან,უფლება არა გვაქვს,რომ ვანთასა და გულგულაში დავხარჯოთ ასი ათასი ლარი სტადიონების მოსაწყობად.ამ თანხით სულ ცოტა 6-7 სოფლის ბაგა-ბაღში გაკეთდება ცენტრალური გათბობა.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება,რომ აღნიშნულ პროექტს არ დაუჭიროს მხარი,რადგან საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N 54 დადგენილებით არ არის განაწილებული სოფლის დახმარების პროგრამა.

დაადგინეს: დაევალოს მერაბ თუშიშვილს უახლოეს საკრებულოს სხდომაზე დააფიქსიროს თავისი აზრი.

ფრაქცია „სამართლიანობა“-ს თავმჯდომარე

 მ.თუშიშვილი